ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 268 (19709) კვირა, 23 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში განიხილეს სოციალურ-კულტურული მშენებლობის 1986 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

აღინიშნა, რომ სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობის მითითებებით ხელმძღვანელობენ, მეტ ყურადღებას უთმობენ სოციალური სფეროს განვითარებას, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების შენებლობას. მთლიანად ქვეყანაში 1986 წლის ათ თვეში საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 14 პროცენტით, სკოლებისა — 13, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისა — 27, საავადმყოფოების და პოლიკლინიკებისა — 9 პროცენტით.

ამავე დროს ბევრმა სამინისტრომ და უწყებამ, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა ვერ უზრუნველყო ამ მხრივ თვისი საქმიანობის საჭირო გარდაქმნა, ვერ მიაღწია სოციალურ-კულტურული კომპლექსის ობიექტების შენებლობის ძირეულ გაუმჯობესებას; მას კვლავინდებურად ეკიდებიან, როგორც მეორეხარისხოვან საქმეს. საცხოვრებელი სახლების, მაღაზიების, საავადმყოფოების, პროფტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების, კლუბების, სპორტული ნაგებობების მშენებლობა არადამაკმაყოფილებლად, საგეგმო დავალებებისაგან ჩამორჩენით მიმდინარეობს.

1986 წლის იანვარ-სექტემბერში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის პუროპროდუქტების სამინისტროს ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცა წლისათვის დაგეგმილი ბინების ნახევარზე ნაკლები. ასტრახანის, კემეროვოს, ჩიტის, ომსკის, ტულის ოლქებში ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემამ შეადგინა დაახლოებით 40 პროცენტი. საბინაო მშენებლობის პროგრამა ვერ შესრულეს სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა, სომხეთის, საქართველოს, უზბეკეთის, მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, რუსეთის სფსრ ბეგრმა ოლქმა, მხარემ და ავტონომიურმა რესპუბლიკამ. განვლილ პერიოდში არ გადაცემულა ჯანმრთელობის დაცვის არც ერთი ობიექტი ივანოვოს, გორკის, ორიოლის, რიაზანის ოლქებში.

სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაში ყველაზე მეტი ჩამორჩენაა დაშვებული სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით, სადაც ეს ობიექტები წლიური მოცულობის მეოთხედზე ნაკლებია ჩაბარებული, აგრეთვე ნოვგოროდის, სმოლენსკისა და ტომსკის ოლქებში. სასწავლო წლის დამდეგისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ამოცანა ვერ შეასრულეს მოსკოვის საქალაქო აღმასკომმა და ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭომ.

ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთისა და იმირბაიკალის რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ურალისა და ციმბირის რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყვეს სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობებისადმი პრიორიტეტული დამოკიდებულება, ბევრი მათი საჯარო ორგანიზაცია დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებს, სამინისტროებსა და უწყებებს ქმედითი ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ საჭირო მატერიალური რესურსებით საბინაო-სამოყალაქო მშენებლობის მზარდ მოცულობათა უზრუნველყოფისათვის. ჯეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული სოციალური სფეროს ობიექტების დაგეგმვაში, გათვალისწინებული არ არის საჭირო მარგაგაკეთი ბინების ნაკადური მშენებლობის ორგანიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელება საბჭოთა ადამიანების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის განუხრელი აღმავლობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, პიროვნების ყოველმხრივ განვითარების გადამწყვეტი პირობაა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ყურადღება: პროდუქციას მიიღებს სახელმწიფო!

ხუთწლედი, წელი მეორე

პრესკონფერენცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

კანონების რანგი მიენიჭა ქვეყნის ხუთწლედის მეორე წლის გეგმასა და ბიუჯეტს. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აკრედიტებულმა კორესპონდენტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მიღებული დოკუმენტებისადმი. 21 ნოემბერს ისინი მოვიდნენ სესიის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

ხუთწლედის მეორე წლის გეგმა, თქვა ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ვ. ტალიზინმა, ემყარება მტკიცე საძირკველს, რომელსაც ქვეყნის სახალხო მეურნეობა ქმნის წელს. და ამ საძირკვლის მთავარი შემადგენელი ნაწილებია სკკპ XXVII ყრილობის კურსის შესაბამისად ეკონომიკასა და საზოგადოებაში მიმდინარე გარდატეხა და დადებითი პროცესები.

გეგმის რეალიზაციისათვის, როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, დიდი მნიშვნელობა ექნება ეკონომიკის მართვაში ცალკეული დიდი გარდაქმნებიდან მეურნეობრიობისა და მართვის მთლიან ახალ სისტემაზე გადასვლას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების ყველა დონესა და რგოლს. პროდუქციის ტექნიკური ფურადობა სოციალური სფეროს [illegible] [illegible] [illegible]

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ამომწურავი ღონისძიებანი განახორციელონ იმისათვის, რომ უთუოდ შესრულდეს სრული ნომენკლატურით მთელი სოციალური კომპლექსის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის, აუცილებელ მარგაკეთის შექმნის მიმდინარე წლის გეგმა. გაძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა, რათა გაავრცელონ გორკის საავტომობილო ქარხნის, ვოლგის საავტომობილო ქარხნისა და სხვა მოწინავე საწარმოთა ინიციატივა სოციალური პრობლემების დაჩქარებული გადაჭრის მიზნით დამატებით შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენებისათვის. უფრო ფართოდ განავითარონ მშენებლობის სამეურნეო წესი, ჩაბმან შრომითი კოლექტივები ბინებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში, ენერგიულად გამოიყენონ ამისთვის ყველა შესაძლებლობა და რესურსები.

საჭიროდ არის მიჩნეული გაიზარდოს ადგილობრივი საბჭოების, ოჯახის, ადგილობრივი და სოციალური ინფრასტრუქტურის დაბრეკეტებისა და მშენებლობის ერთიან შემკვეთთა როლი, გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა ქალაქებისა და სოფლების კომპლექსური განვითარების, განაშენიანების ხარისხისა და არქიტექტურული სახისათვის, სახლებისა და სხვა ობიექტების მიღებაში ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უწარლისა და ცომბრის რაიონებში მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობგაზმშენის სამინისტროს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის პიროლიტების სამინისტროს ყურადღება მიაპყრო იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც არის საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობაში. მოითხოვა ძირეულად გარდაქმნან საქვეუწყები ორგანიზაციების მუშაობა, რათა დაძლიონ დაშვებული ჩამორჩენა, მიაღწიონ მაღალხარისხოვან და რიტმულ მშენებლობას, დროულად გადასცენ საექსპლოატაციოდ ყველა სოციალურ-კულტურული ობიექტი. სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ ქვეყნის მოწინავე კოლექტივის მაგალითისამებრ ამ მშენებლობებზე მოაწყონ სრულფასოვანი ორცვლიანი მუშაობა, შექმნან ამისათვის საჭირო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები. სამინისტროებსა და უწყებების პარტიულ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ მუდმივი კონტროლი დაუწესონ ამ საკითხთა პრაქტიკულ გადაწყვეტას, გააუმჯობესონ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, გაადიდონ მომთხოვნელობა კადრებისადმი, მართვის აპარატის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა გეგმების შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახმშენს, სამოქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სამშენებლო და სხვა სამინისტროებს სამი თვის ვადაში კონკრეტულად გაარკვიონ, თუ როგორ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს მოქმედ სახლთსაშენებელ და სასოფლო სამშენებლო კომბინატებში, და განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მათი მუშაობის მოწესრიგების, ტექნოლოგიური ხაზების განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს შექმნილი საწარმოო პოტენციალის უკუგება, გადიდდეს საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული ობიექტების დეტალების კომპლექტების გამოშვება და გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა მოამზადოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეიტანოს წინადადებანი ლინოლეუმის, მოსაპირკეთებელი ფილების, გადასახურავი, ლაქსტებავი და სხვა მოსაპირკეთებელი მასალების, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოების გაფართოების შესახებ, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მათზე სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და მოსახლეობისათვის მისაყიდად საცალო ვაჭრობის მოთხოვნილებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ ფონდების პრიორიტეტული გამოყოფა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით არასაწარმოო მშენებლობის ობიექტების გეგმაზომიერი და დროული დაკომპლექტება, უფრო ფართოდ გადავიდნენ ამ საქმეში სამშენებლო ორგანიზაციების განაცხადების საბითუმო ვაჭრობაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახმშენს, სამოქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, სამშენებლო და სხვა სამინისტროებს სამი თვის ვადაში კონკრეტულად გაარკვიონ, თუ როგორ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს მოქმედ სახლთსაშენებელ და სასოფლო სამშენებლო კომბინატებში, და განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მათი მუშაობის მოწესრიგების, ტექნოლოგიური ხაზების განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს შექმნილი საწარმოო პოტენციალის უკუგება, გადიდდეს საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული ობიექტების დეტალების კომპლექტების გამოშვება და გაუმჯობესდეს მათი ხარისხი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა მოამზადოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეიტანოს წინადადებანი ლინოლეუმის, მოსაპირკეთებელი ფილების, გადასახურავი, ლაქსტებავი და სხვა მოსაპირკეთებელი მასალების, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოების გაფართოების შესახებ, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მათზე სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და მოსახლეობისათვის მისაყიდად საცალო ვაჭრობის მოთხოვნილებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ ფონდების პრიორიტეტული გამოყოფა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით არასაწარმოო მშენებლობის ობიექტების გეგმაზომიერი და

ГЗЗА ГАДАВУЧКЕТОТ УЗРОМЕЛ ЗЕМОМЕЗАВАЛЗ!

ГАЗЕДУЛИ ПОЗИЦИА

ЦХАКАИАС რაიონული გაზეთი „კოლხეთი“ (რედაქტორი რ. ჯანჯღავა) გაბედულად იბრძვის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. მის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით რედაქციის მუშაკების, მისი აქტივის ინიციატივით შესწავლილ და მომზადებულ კრიტიკულ-მასალებს, რომლებშიც ეჭვშეუტანელი ფაქტებით არიან გამათრახებული ყალბისმქმნელები, მუქთახორები, ლოთები, კომბინატორები, უშრომელი შემოსავლით გამდიდრებული ადამიანები.

ამას წინათ გაზეთმა გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „ისევ სასახლეთა მოყვარულებზე“. აქ მხილებულია უხეში დარღვევები ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში, ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და შესაბამისი პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

რაისაბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების ჯგუფის (უფროსი ვ. არჩია) მიერ 1986 წლის 10 აპრილს ქ. ცხაკაიას კალანდარიშვილის ქ. №24-ში მცხოვრებ მარტოხელა პენსიონერ ვალია კაჭარავას სახელზე გაიცა ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტი, აუწყებს მკითხველს „კოლხეთი“, და სვამს კითხვას: რად უნდოდა მარტოხელა პენსიონერ ქალს ორსართულიანი კაპიტალური სახლი, რომლის სასარგებლო ფართობი პროექტის მიხედვით უნდა ყოფილიყო 99,6 კვადრატული მეტრი. ამას ისიც დაემატა, რომ მშენებლობა პროექტის უხეში დარღვევებით დაწყო და მოკლე დროში სასახლის მსგავსი უზარმაზარი ნაგებობა წამოიჭიმა. პირველი სართულის სიმაღლე, დადგენილი ნორმის მიხედვით ორ მეტრს რომ არ უნდა აღმატებოდა, 230 სანტიმეტრამდე ამაღლდა, სახლის სასარგებლო ფართობი 99,6-დან 225 კვადრატულ მეტრამდე გაიზარდა. ასევე გადიდდა ქვედა და ზედა სართულების სიგრძე და სიგანე.

ამის ამშენებელი პენსიონერი ქალის თვიური შემოსავალია... 50 მანეთი! მას არ აღმოაჩნდა საშენი მასალების შეძენისა და ტრანსპორტირების არავითარი დამადასტურებელი დოკუმენტი.

რედაქციის მუშაკებს ეჭვი დაებადათ, აქ რაღაც თაღლითობას უნდა ჰქონდეს ადგილი, და დადგინეს კიდეც, რომ პენსიონერი ვ. კაჭარავა შირმად იყო გამოყენებული, სახლის მშენებლობას ფაქტობრივად აწარმოებდა რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს ფირმების მექანიზაციის ინჟინერი, კომუნისტი ვიტალი ბესელია, რომელსაც „ვ. კაჭარავასთან არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვს.

რედაქციისათვის ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ ვ. ბესელიას სოფელ ნოქალაქევში ჰქონდა ორსართულიანი კაპიტალური სახლი, სადაც იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, ხოლო 1986 წლის 26 მაისიდან ნოქალაქევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ხელშეწყობით ამოეწერა სოფლიდან და მას შემდეგ ოჯახის მთლიანი შემადგენლობა არ არის ჩაწერილი.

ამ დღეებში პარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიუროს სპეციალურად განიხილა გაზეთის მიერ წამოჭრილი საკითხი, სწორად და საქმესასარგებლოდ მიიჩნია გაზეთი „კოლხეთის“ 1985 წლის 5 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული „ბესელიებელი წერილი „ისევ სასახლეთა მოყვარულებზე“ და მიიღო მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი.

ამასთან ერთად ბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დადგენილი ნორმები. შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების აშკარა წაყოლებისა და ზოგჯერ დანაშაულებრივი ხელშეწყობის შედეგად ხდება მიწების მითაცება-მითვისების, საშენი მასალების უკანონოდ შეძენის, გაუფორმებლად და პროექტით გათვალისწინებული ნორმებიდან გადახვევით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფაქტები.

რაიკომის ბიურომ შესაბამის ორგანოებს დაავალა მკაცრი კონტროლი დაუწესონ ინდივიდუალურ მშენებლობაში ზემდგომ ორგანოთა მოთხოვნების უთუოდ განხორციელებას.

კომუნისტ ვ. ბესელიას პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი გადაეცა პირველად პარტიულ ორგანიზაციას. პროკურატურის მიერ ეფექტიანი დაძალვების შემდეგ რათანადო ინფორმაციის წარმოდგენილ ორგანოებს.

ინდივიდუალურ მშენებლობის საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევებისა და ამ დარგში სრული უკონტროლობისათვის რაისაბჭოს აღმასკომის სპეციალურ ბიუროს უფროსს ზ. პატარაიას გამოეცხადა საყვედური საერიცხეო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელები მიიღეს აგრეთვე ამ საქმეში დამნაშავე სხვა მუშაკებმა.

რაიკომის ბიურომ ცხაკაიას მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შეაფასა არადამაკმაყოფილებლად.

ასეთია რაიონული გაზეთის გაბედული გამოსვლის შედეგი.

З. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ПРЕСІС ФУРЦЛЕБЗЕ

ЕСЕЦ ХОТБА-МЕХОТБЕ!

РЕДАКЦІЯ

„АІ, ასეთი მწამს კომუნისტი“. — ეს ფრთიანი პოეტური ფრაზა წუმძღვარა ლანჩხუთის რაიგაზეთმა „კომუნისტურმა შრომამ“ ადგილობრივი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგის გ. სადრაძისადმი მიძღვნილ ნარკვევს, რომელიც დაიბეჭდა რუბრიკით „გვესახელება“.

თუ ზედმეტ მაღალფარდოვნებაპათეტიკურობას და ცალკეულ ლაფსუსებს არ მივიღებთ მხედველობაში, ამ პუბლიკაციას, ერთი შეხედვით, ვერაფერს დაუწუნებ. პირიქით, კარგია, რომ გაზეთი ცდილობს თავის ფურცლებზე წარმოაჩინოს და პროპაგანდა გაუწიოს მოწინავე კეთილსინდისიერ მშრომელებს, კომუნისტებს, წაახალისოს, უკეთ მუშაობისათვის განაწყოს ისინი.

კი მაგრამ, თუ ასეა, მაშ რეპლიკა რაღა საჭიროაო, შეიძლება გაიკვირვოს ვინმემ.

საქმე ის არის, რომ ამ ნარკვევის გამოქვეყნების დროისათვის აღნიშნულ სასწავლებელში კარგა ხნის დაწყებული იყო შემოწმება, რომელმაც აქაური პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობაში სამართალდარღვევის მრავალი სერიოზული ფაქტი, დანაშაულებრივი მაქინაცია და ნაკლოვანება გამოავლინა. ამის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ სასწავლებლის დირექტორი, მისი მოადგილე, საწარმოო სწავლების ოსტატები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გამოძიებამ კვლავ გრძელდებოდა.

იქნებ გ. სადრაძე, უმწიკვლო კომუნისტი და პედაგოგია და არც არის გარეული ამ ბინძურ მაქინაციებში, შესაძლოა კვლავ შემოგვედავოს ვინმე.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ნამდვილი კომუნისტი ხომ მარტო თვითონ კი არ უნდა იყოს სანიმუშო და ყოველმხრივ მოწესრიგებული, არამედ სხვისგანაც უნდა ითხოვდეს ამას, არ ურიგდებოდეს არამცოუ დანაშაულს, სულ მცირე ნაკლსაც კი თავის გარშემო, პრინციპულად იღვწოდეს ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგისათვის. უპასუხებს კი

ამ მოთხოვნებს გ. სადრაძის, როგორც ზემოაღნიშნულ ნარკვევშია ნათქვამი, „ჭეშმარიტი კომუნისტის, ღირსეული მოძღვარის, სულის გამომკვებავისა და ზნეობის დამპურებლის“, შორიდან პასიური მჭვრეტელის დანაშაულებრივად გულგრილი პოზიცია? მით უფრო რომ ასეთი მძიმე ვითარება სასწავლებელში უცებ კი არ შექმნილა, არამედ ყოვლისმომტევებლობისა და ხელმიმვებულობის ატმოსფეროში კარგა ხნის მანძილზე მზადდებოდა მისთვის ნოყიერი ნიადაგი.

მით უფრო გასაკვირია „კომუნისტური შრომის“ რედაქციის უცნაური პოზიცია, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ ღრმად ჩასწვდომოდა საქმის მდგომარეობას, გამოეაშკარავებინა და მკითხველთა სამსჯავროზე შეულამაზებლად გამოეტანა სასწავლებელში შექმნილი ნეგატიური ვითარება, მის ერთ-ერთ ხელმძღვანელ კომუნისტზე დითირმბებს ბეჭდავს.

ვითომ არ იცოდა გაზეთმა სასწავლებელში არსებული მდგომარეობა? იცოდა, კარგად იცოდა. ამის თაობაზე დაწვრილებით იყო ინფორმირებული თვით ნარკვევის ავტორი გ. გეგუჩაძეც, რომელიც მანამდე არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ხელმძღვანელობდა ამ სასწავლებლის პირველადს პარტორგანიზაციას და შემდეგ, თვითნებურად მოიხსნა რა ეს პასუხსაგები მოვალეობა, სამუშაოდ გადავიდა „კომუნისტური შრომის“ რედაქციაში.

რა არის ეს? ფაქტებისა და მოვლენების სწორი შეფასების უუნარობა, პარტიული გაზეთისათვის სრულიად შეუფერებელი დუდევრობა-უპასუხისმგებლობა, თუ კიდევ სხვა რამ? ვთქვათ, პროტექცია, ძმაბიჭობა და მსგავსი უმსგავსობა.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიუროს სხდომას უმსჯელია ამ პუბლიკაციის თაობაზე. იმედია, იგი დაწვრილებით გააცნობს „კომუნისტს“ მკითხველს მიღებული დადგენილების შინაარსს.

და ბოლოს: ვფიქრობთ, უპრიანი იქნება ეს რეპლიკა საყურადღებო სიგნალად მიიჩნიოს ზოგიერთმა სხვა რაიონულმა და საქალაქო გაზეთის რედაქციებმაც, რომელებიც ზოგჯერ, სამწუხაროდ, ზერელედ ეკიდებიან დასაბეჭდი მასალების და მათი ავტორების შერჩევას.

КАМПАУЧИИС ДЕДЕБИ САКАРТВЕЛОС ХС РЕСПУБЛИКАШИ

МЕГОБРОБІС МИТИНГИ

СОХУМИ. კამპუჩიელ ხალხთან მეგობრობისა და სოლიდარობის მიტინგი გაიმართა აფხაზეთის დედაქალაქში. მიტინგზე გამოსულმა საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის მეგობრობის საზოგადოების სოხუმის განყოფილების თავმჯდომარემ, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა თ. კოღონიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კამპუჩიელი ხალხის ფიქრები და მისწრაფებანი ახლობელია საბჭოთა ადამიანებისათვის. პოლ პოტის რეჟიმის დამხობამ ხალხს საშუალება მისცა აშენოს ბედნიერი მომავალი. საბჭოთა კავშირი დიდად დაეხმარა კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკას ქვეყნის სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის აღდგენა-განვითარებაში. დღეს საბჭოთა ადამიანები სიხარულით იგებენ, რომ კამპუჩიელები წარმატებებს აღწევენ აღმშენებლობისა და პროგრესის გზაზე.

კამპუჩიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, კამპუჩია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა ომ ნიანსარაკმა თქვა:

— ჩვენს შეხვედრებს დიდი აზრი და მნიშვნელობა აქვს კამპუჩიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის, სოლიდარობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. იგი ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვანი სოლიდარობა გამოუცხადეს მშვიდობისათვის, თავისუფლების, სოციალური პროგრესისათვის კამპუჩიელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას, უსურვეს ქმერ ხალხს ახალი წარმატებანი კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის V ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, ახალი გამარჯვებანი მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გზაზე.

კამპუჩიის დელეგაციის სტუმრობის პროგრამაშია მეგობრობისა და სოლიდარობის მიტინგები შრომითს კოლექტივებში, საბჭოთა კავშირ-კამპუჩიის მეგობრობის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მუშაობის გაცნობა, სკოლების, ინსტიტუტებისა და მუზეუმების, აფხაზეთის კურორტების, ბოტანიკური ბაღის, სხვა ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. (სპეცინფორმი).

ГАВЛОНІЕРДЕТ, ГАВЗЖАНСЛАДЕТ, ГАВМАБРДЕТ!

РАЦ ГВАХАРЕБС ДА, РАЦ ХАГВАФИЧРЕБС

ჩვენი ქვეყნის ყველაზე მასშტაბური, ყველაზე გრანდიოზული სპორტული ასპარეზობა — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ზუსტად 30 წლისაა. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა სპორტსმენთა თითქმის ყველა თაობა სასპარტაკიადო წრთობის შემდეგ გავიდა ოლიმპიურ სარბიელზე. სპარტაკიადები ჩვენი ფიზიკულტურულ-სპორტული ცხოვრების სარკეა, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ ჩანს როგორც გაწეული მუშაობის ავ-კარგი, ისე სამომავლო გეგმები. ასეთია ტრადიცია.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა მოგვიტანა ამ ასპარეზობამ, როგორ უნდა შევაფასოთ საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლა სპარტაკიადაზე, როგორია იმ დიდი ზრუნვა-ყურადღების უკუგება, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, ცალკეული უწყებები და სამინისტროები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა იჩენენ სპორტისა და სპორტსმენებისადმი?

გულშემატკივრებმა უკვე იციან, რომ სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში ჩვენმა სპორტულმა დელეგაციამ რამდენადმე გაიუმჯობესა შედეგები. პირველად ამ ათი წლის განმავლობაში არაოფიციალურ კომპლექსურ ჩათვლაში დავიკავეთ მეშვიდე ადგილი. სპარტაკიადების ისტორიაში კი პირველად მოვიპოვეთ ოქროს მედლების სარეკორდო რაოდენობა — 19. ჩვენმა სპორტსმენებმა სულ 4253 ქულა დააგროვეს და შესაბამისად 94, 406 და 1200 ქულით გაუსწრეს უზბეკეთის, ლიტვისა და ლატვიის კოლექტივებს, რომლებიც წინა სპარტაკიადებზე ჩვენ გვისწრებდნენ. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ წინგადადგმული ნაბიჯი იმ დიდი შრომისა და ძიების შედეგიც არის, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ სპორტსახკომის ახლანდელი ხელმძღვანელობის წინამორბედმა ჩაუყარეს.

ცალკეულ სპორტსმენთა წარმატებებმა ჭეშმარიტად დიდი სიხარული მოჰგვარა ჩვენს ხალხს. სწორედ ამ სპორტსმენების, მათი მწვრთნელების, სპორტული მუშაობის ორგანიზატორების, ცალკეული ორგანიზაციების თანადგომითა და საქმით გამოიხატა ეს ჭეშმარიტება, რომ ვინც მოწინავე პოზიციებზე დამკვიდრებისათვის თავდადებით იბრძვის, არა მარტო პრობლემათა გადაწყვეტის, არამედ მაწინაკენ მიმავალ რეალურ გზებსაც პოულობს.

სიტყვამ მოიტანა და, აქვე დავასახელებ იმ მწვრთნელებსა და ორგანიზატორებს, რომელთაც თავდადებული შრომა და მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს: მ. გეგელია, ა. სლივკოვი, ვ. გურგენიძე, ჯ. ლაშხი, თ. ხუდოევი და ზ. სულაშვილი აკრობატიკაში და ბატუტზე ხტომაში. სანიმუშოდ ამ სახეობებს იმიტომ ვასახელებ, რომ აქ არც უნიკალური მატერიალურ-სპორტული ბაზა გვაქვს, არც სპორტსმენთა დიდი არჩევანი. ეს სახეობები არც პოპულარობით გამოირჩევიან, მაგრამ სწორედ აქ გვაყავს ყველაზე მეტი ჩემპიონი და პრეზიორი.

სპორტული გმირობის მაგალითი გვიჩვენეს ტანმოვარჯიშე ვაჟებმა, რომელთა გუნდის უფროსი მწვრთნელია გამოცდილი სპეციალისტი ჰ. ბურჯანაძე. ჩვენმა სპორტსმენებმა ამ სახეობაში ჩამორტყეს ყაზახეთის, სომხეთის, ლენინგრადისა და ბელორუსიის ძლიერი ტანმოვარჯიშეები და. ყველა „სინჯის“ ექვსი მედალი მოიპოვეს. გუნდის ღირსეულ ლიდერად მოგვევლინა ვლადიმერ გოგოლაძე, რომელმაც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებთან ერთად საქართველოს სპორტულ დელეგაციას მოუტანა 152 ქულა — გაცილებით მეტი, ვიდრე სპორტის 13 სახეობის წარმომადგენლებმა ერთად. ქართველ წყალბურთელთა საუკეთესო თვისებები გამოავლინა ჩვენმა გუნდმა ირაკლი ჩხიკვაძისა და ბორის მეგელის ხელმძღვანელობით. წყალბურთი ერთადერთი სათამაშო სახეობა იყო, სადაც ამ სპარტაკიადაზე მედლები („ვერცხლი“) დავიმსახურეთ. ნიჭიერ, პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა-დაოსტატების, მწვრთნელთა კოლექტივთან კოლეგიური მუშაობის შესანიშნავ მაგალითად უნდა ჩაითვალოს წყალში მხტომელთა უფროსი მწვრთნელის ი. გუტიაკულოვის საქმიანობა. გუნდური მესამე ადგილი, პირადში ოქროს, ვერცხლის მედალი, ორი მეოთხე ადგილი — ასეთია წყალში მხტომელთა შედეგები ამ სპარტაკიადაზე. მოწონება დაიმსახურეს მხტომელი ტანმოვარჯიშის ოსტატებმა (მწვრთნელი ნ. სალაძე).

ბევრი ითქვა და დაიწერა ჩვენს შესანიშნავ ძლეულსნებზე მაია აზარაშვილსა და მის მეუღლეზე ზურაბ მემარნიშვილზე (მწვრთნელი ე. გაგუა). ამ ოჯახის მიერ სპარტაკიადაზე მოპოვებული მედლები და ქულები, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით პრესტიჟულია; მადლობას იმსახურებენ აგრეთვე მძლეოსანთა მწვრთნელები თ. ჭედია, ვ. ქადეშვილი, ე. საპრონოვი და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა უფროსი მწვრთნელი ლ. მესტვირიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ სინქრონული ცურვა ჩვენში შედარებით ახალი დანერგილია, საქართველოს ნაკრებმა ნ. მაშხუკის ხელმძღვანელობით მესამე ადგილი დაიკავა.

როცა საუბარია მიღწევებზე, ამა თუ იმ სახეობის სპორტში გარკვეულ, თუნდაც მოკრძალებულ წინსვლაზე, ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა თვითდაჯერების სენმა არ დაგვძლიოს. თუ ახლავე არ ვიზრუნეთ მიღწეულის განმტკიცებასა და უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაზე, თვალსა და ხელს შუა გაგვაქრება ის, რაც უაღრესად დაძაბული შრომით მოვიპოვეთ. ერთი სიტყვით, როცა ვამბობთ, სპარტაკიადა დამთავრდაო, იქვე უნდა დავსძინოთ, რომ სპარტაკიადა გრძელდება. ამიტომ ჩვენი ვალია დღენიადაგ წინსვლის პროცესის შუაგულში ეტრიალებდეთ და უკან დასახევი გზაც საიმედოდ ჩაკეტოთ. ეს მით უფრო საჭიროა. რომ ჯერ კიდევ ბევრი სახეობის სპორტში არცთუ თავმოსაწონად გვაქვს საქმე და, ცხადია, ჩვენთვის არც არხეინად ყოფნის უფლება მოუნიჭებია ვინმეს. იმავე სპორტულ ტანვარჯიშში ჩვენმა გოგონებმა და, რაც ერთობ დასანანია, მათმა ლიდერმა ეკა ზეთურიძემ, სრულად ვერ გამოავლინეს პოტენციური შესაძლებლობანი. არადა, გვწამს, რომ ტანმოვარჯიშე ქალების ნაკრების ხელმძღვანელს რ. სიხარულიძს და მის თანამოსაქმეებს შესწევთ უნარი საქმე წაღმა შემოაბრუნონ.

არც ის არის დასამალი, რომ ის შემართება, ის ლაი თამაში, რომელიც ჩვენმა ახალგაზრდა წყალბურთელებმა სპარტაკიადაზე გამოავლინეს, დინამოელთა კოლექტივს აკლია. და აი, გამოიკვეთა სპატეიო და დადაუღებელი ამოცანა — ახალგაზრდა და შედარებით უფროსი ასაკის წყალბურთელთა შემართებისა და გამოცდილების შერწყმის ამოცანა. განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს ავრეთვე ვაჟთა შორის ჭიდრაკის განვითარების საქმისადმი. რატომღაც აქ ყურადღება შესუსტდა. ჩვენ ხომ მთელი თაობა გვყავს ნიჭიერი მოჭადრაკე ვაჟებისა, და აქამდე რატომღაც ვერ მოვახერხეთ თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მათი წვრთნის ორგანიზება.

ძიუდოისტებს თითქოს ვერ დავემდურებით, მაგრამ ხანს ამ კოლექტივის ხელმძღვანელებს შორის თავი იჩინა თვითდამშვიდებამ, ნაკრებში დისციპლინა შესუსტდა, ზოგიერთი გულგრილად ეკიდება მოვალეობას, არ სურს შეეგუოს გაზრდილ საწვრთნელ დატვირთვას. ეტყობა, მიღწეულს დავჯერდით, ამიტომაც დღეისათვის ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორები არა გვყავს. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა სამბისტთა და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრებ კოლექტივებში, სადაც თავი იჩინა უდისციპლინობამ, შეკრებებზე გამოუცხადებლობამ. იყო ფალსიფიკაციის ფაქტებიც: სპორტსმენთა ასაკობრივი მონაცემების შემცირების მიზნით ადგენდნენ ყალბ საბუთებს. ცხადია, ასეთი გზით გუნდები სასიკეთო შედეგებს ვერ მოიპოვებდნენ. ისმის კითხვა, როგორ აპირებდნენ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა და სამბისტები მესამე ადგილების მოპოვებას? და რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის: ამ გუნდებმა შესაბამისად VII და X ადგილები დაიკავეს. რა დაგვრჩა? — სინანული — საბოლოო შედეგების გამო, მწარე ღიმილი კი იმათ მისამართით, ვინც ასე უგერგილოდ და უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მოჭიდავეთა სასპარტაკიადოდ შომზადების საქმეს. ეს იმ დროს, როცა ჭიდაობა ჩვენი რესპუბლიკისათვის ყოველთვის საპრესტიჟო და ეროვნული სიამაყე იყო, არის და კვლავაც უნდა დარჩეს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებას ვერ ავიტანთ და მკაცრ ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებს გამოვიტანთ. ასეთივე მიდგომა გვმართებს მსროლელთა ხელმძღვანელთა მიმართაც. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია. სათაურით „ისმოდა სროლა, ისმოდა ღვინო“, რომელიც მოსწავლეთა რესპულიკურ სპარტაკიადაში მონაწილე მსროლელების მწვრთნელთა ყოველად შეუფერებელ საქციელს ეხებოდა. ეს სტატია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგნად იქცა. მაშინ ზოგიერთი გაწაწყენდა კიდეც. მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც მოსკოვში საკავშირო სპარტაკიადაზე მოხდა, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ მსროლელთა კოლექტივში ვერც ჩვენი ძალოსნები დაიკვეხნიან რაიმე

ახალი ამბები

● **არმაზის** კომკავშირი უნდა გახდეს მეთაურების, პოლიტორგანოების, პარტორგანიზაციების მებრძოლი თანაშემწე მხედრული დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ეს აღინიშნა თბილისში გამართულ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის კომკავშირის აქტივის კრებაზე. კრების მონაწილეებმა განიხილეს არმიის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნათა წარმატებით შესრულების, მხედრული დისციპლინის შემდგომი განმტკიცების შესახებ ოლქის სრულიად საკავშირო ორგანულ ორგანიზაციის მუშაობის სრულყოფის ამოცანები.

მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა — პოლიტსამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ლ. გულევიჩმა.

კრებაზე გამოვიდა ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი.

განხილული საკითხების გამო მიღებულია დადგენილება.

● **სსრ** კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების მთავარი და პოლიტიკური სამმართველოების მოწვევით ჩვენს ქვეყანაში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მესაზღვრეთა დელეგაცია.

სტუმრები ეწვივნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ერთ-ერთ სასაზღვრო ნაწილს, გაეცნენ საბჭოთა მესაზღვრეების სამსახურსა და ყოფა-ცხოვრებას. იყვნენ აგრეთვე ერთ-ერთ სასაზღვრო რაიონში, დაათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი და ისტორიული ძეგლები.

● **თავგრუდამხვევი** ვიროვები, ელვის სანერგიფით მჭოლავ მცირე ზომის დაფაზე მოძრაობის ჩინებული, ჯორდინირება, წონასწორობის შენარჩუნების უნარი უჩვენეს რიყეზე თბილისის რამდენიმე სკოლის მოსწავლეებმა. ისინი მეორედ მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გამართულ სკეიტბორდის — გორგოლაჭებიან დაფაზე სრიალის — საქალაქო ასპარეზობაში.

● **როგორ** გავზარდოთ მეცნიერების საზოგადოებრივი სექტორის წვლილი ეკონომიკის ინტენსიფიკაციაში? ამ საკითხს მიეძღვნა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პლენუმი, რომელიც 21 ნოემბერს გაიმართა მოსკოვში.

პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადი საამქრო ორგანიზაციების საქმიანობა იმ სამუშაოთა სამეცნიერო და საინჟინრო უზრუნველყოფისათვის, რომელთა მიზანია პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლება, მისი დამზადების თვითღირებულებისა და შრომატევადობის შემცირება და პროგრესული ტექნოლოგიების ათვისება.

● **1986 წლის** 21 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1794“, „კოსმოს-1795“, „კოსმოს-1796“, „კოსმოს-1797“, „კოსმოს-1798“, „კოსმოს-1799“, „კოსმოს-1800“ და „კოსმოს-1801“. რვაკე თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ. თანამგზავრებზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

კეთილმეგობრობის ნათელი ნიშანსვეტი

ინდოეთი ელის საპატიო საბჭოთა სტუმარს

უმაღლეს დონეზე შეხვედრები და მოლაპარაკებანი ტრადიციად იქცა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ მრავალმხრივ ურთიერთობაში. როცა მოსკოვში ინდოელი ხელმძღვანელები ჩამოდიან, ან საბჭოთა ხელმძღვანელები დელში ჩადიან, მათი ვიზიტები ორი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის ჰეშმარიტ მანიფესტაციად იქცევა ხოლმე.

ასეთია ინდოეთის ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა ცნობების ლაკონიტური მან შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ნოემბრის მიწურულს ინდოეთს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

ვიზიტის წინ დელში, ბომბეიში, მადრასში, კალკუტასა და სხვა ქალაქებში იმართება კონფერენციები და სემინარები, რომლებზეც განიხილება თანამედროვეობის უმწვავესი საკითხები, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის ადგილი და როლი საერთაშორისო ვითარების განმტკიცებაში.

ინდოეთის დედაქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა „მრგვალი მაგიდა“ თემაზე: „რეიგანიკი და აზიის მშვიდობა“, რომელიც დელის მეცნიერთა საზოგადოებამ მოაწყო. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ცნობილი ინდოელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. მათ შორის მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) ერთ-ერთი ლიდერი რ. ბჰანდარი, თვალსაჩინო დიპლომატები რ. ჯიჰანი, ი. გუჯრალი, ავტორიტეტიანი მეცნიერები — პროფესორები ვ. დატი, ნ. სინგჰი და სხვანი. „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებმა ,,ბაყოფილებით აღნიშნეს, რომ ინდოეთი და სსრ კავშირი ერთნაირ პოზიციას ადგანან, პასუხისმგებლობით და მსოფლიოს ყველა ხალხების ინტერესების გათვალისწინებით მხარს უჭერენ იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიონ მორიგებას ბირთვული ხანძრისგან კაცობრიობის ხსნის საკითხში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ნამდვილ მანიფესტაციად იქცა ინდოეთში ახალი ამბების სააგენტოს მასალებით გამომავალ ჟურნალ „საბჭოეთისათვის“ ნერუს სახელობის ,,ყოველწლიური პრემიის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია. სიტყვით გამოსულმა პარლამენტის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა მ. მ. ჯეკობმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ინდოეთის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო და კვლავაც იქნება სსრ კავშირთან მეგობრობა და თანამშრომლობა.

„ჩვენს მრავალმხრივ ურთიერთობას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ხალხთა საერთო ბრძოლაში სტაბილური მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის, რასიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ, — განაცხადა მ. მ. ჯეკობმა — ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა კაცობრიობას მოსპობის საფრთხე შეექმნა. ერთადერთი ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ ბირთვული იარაღის მოსპობა — ის, რასაც სსრ კავშირი მოითხოვს. როგორც ცნობილია, ინდოეთი მიესალმება საბჭოთა წინადადებებს განიარაღების სფეროში. დელს, ისე როგორც მოსკოვს, მრავალგზის განუცხადებია, რომ მშვიდობის წელმა დასაბამი უნდა მისცეს მშვიდობის საუკუნეს...

ყველა კონტინენტის ხალხთა ოცნების ხორცშესხმა გარკვეულ წილად სსრ კავშირისა და ინდოეთის ხელმძღვანელებსაც არის დამოკიდებული, ვინაიდან სწორედ საერთო ბრძოლამ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დააახლოვა ჩვენი ხალხები“.

ინდოეთი ელის საპატიო საბჭოთა სტუმარს. ამ დღეებში დელი და მოსკოვი, როგორც ჩვენი ინდოელი მეგობრები ამბობენ, უფრო ახლოს არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ ათასობით კილომეტრი აშორებთ.

კინომატიანე

მარად მხარდამხარ

ახალი ტელეფილმი სსრ კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის შესახებ

დელი. „ერთად გადადგმული ნაბიჯები“ — ასე ეწოდება სატელევიზიო ფილმს სსრ კავშირისა და ინდოეთის ნაყოფიერი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც სრულად ინდოეთის ტელევიზიამ აჩვენა ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის წინ.

დელის დურდარშანის სტუდიაში შექმნილი ფილმის ავტორები ასახავენ ორი ქვეყნის ნაყოფიერი სასარგებლო კავშირურთიერთობის განვითარების ძირითად ეტაპებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის პირმშოს — ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობით დაწყებული. ისინი „ისტორიულ ნიშანსვეტს“ უწოდებენ 1955 წელს ხელმოწერილ შეთანხმებას ეროვნული მადი მეტალურგიის ამ უდიდესი საწარმოს მშენებლობის შესახებ. ამ დარგში თანამშრომლობა გაგრძელდა ბოკაროს ქარხნის მშენებლობით, რომელსაც, როგორც ფილმშია აღნიშნული, ინდირა განდი „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მზარდი მეგობრობის სიმბოლო“ უწოდა. „ახალი თაობის“ საწარმო გახდება, ავტორთა თქმით ვისაკაპატნამის მეტალურგიული ქარხანა, რომლის მშენებლობა ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე ანდრა-პრადეშის შტატში ახლა დასასრულს უახლოვდება. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის ეს ობიექტი აღიჭურვება ინდოეთში უდიდესი 3200 ტუბური მეტრი მოცულობის ბრძმედით, რომელსაც ეკნება მართვის ავტომატური სისტემა, მძლავრი კოქსის ბატარეები, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარები, სხვა უახლესი აგრეგატები.

ფილმში დაწვრილებით არის ნაამბობი ნავთობის მოპოვებადაგადამუშავებაში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ. „ამ დარგში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უაღრესად სასარგებლოა ინდოეთის განვითარებადი ეკონომიკისათვის“, — ხაზს უსვამენ ავტორები. ისინი აგრეთვე აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა „მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინდოეთის მიერ ენერგეტიკის დარგში თვითუზრუნველყოფის მიღწევის საქმეში“. მთელ ფილმს გასდევს აზრი, რომ სსრ კავშირთან თანამშრომლობას თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი ხასიათი აქვს და იგი ხელს შეუწყობს ინდოეთში მძლავრი თანამედროვე ინდუსტრიული ბაზის შექმნას, ეროვნული ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას.

22 ნოემბერი ● საკდესი იუწყება

უცხოეთი

ფაქტები • მოვლენები

ერთიანული

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

საჭიროა ურთიერთმისაღები მიდგომა

დაიწყო პალესტინის საკითხის განხილვა

ნიუ-იორკი. **ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ინტერესები მოითხოვს რეგიონში კონფლიქტის ყოვლისმომცველ მოწესრიგებას პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის კანონიერი უფლების გათვალისწინებით. ასეთია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესიის დელეგატთა უმრავლესობის აზრი, რომლებმაც დაიწყეს პალესტინის საკითხის განხილვა.**

ახლო აღმოსავლეთის პრობლემისა და მისი ბირთვის — პალესტინის საკითხის ქრონიკული მოუწესრიგებლობა, აღნიშნავენ დელეგატები, ისრაელისა და მისი მფარველის ამერიკის შეერთებული შტატების ბრალია. ისრაელი აძლიერებს საოკუპაციო რეჟიმს არაბულ ტერიტორიებზე, თანაც უხეშ ძალასა და ტეროროს მიმართავს პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ. ამავე დროს, აღნიშნა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ფ. კადუმიმ, სიონისტთა საბოლოო მიზანია აჰყარონ პალესტინელი ხალხი მამა-პაპათა მიწებიდან და შემოიმტკიცონ არაბული ტერიტორიები.

ბულგარეთის, ზიმბაბვეს, ინდოეთის, იორდანიის, ჩინეთის, არაბთა გაერთიანებული საამირეოების, მავრიტანიის, რუმინეთის, სირიის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემა, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების უზრუნველყოფა, ყველაზე სრულად შეიძლება განხილონ წარმომადგენლობითს საერთაშორისო კონფერენციაზე.

სსრ კავშირი, ისევე როგორც წინათ, მზად არის კოლექტიური მეცადინეობის ფარგლებში გამოძებნოს რეალური ურთიერთმისაღები მიდგომა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაციის ჩიხიდან გამოყვანის საკითხისადმი, გამოიჩინოს ჯეროვანი მოქნილობა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ საქმიან და სერიოზულ მოლაპარაკებაზე ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის · მონაწილეობით, განაცხადა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. თ. პეტროვსკიმ.

პალესტინელი ხალხის ხელშეუხებელი უფლებების განხორციელების კომიტეტის თავმჯდომარემ მ. სარემ (სენეგალი) წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის პოზიცია ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის მიმართ კვლავ ნეგატიურია.

● **აშშ-ჰაიტი**

ვაშინგტონი მხარს უჭერს თავის დამქაშს

რეიგანი შეხვდა ჰაიტის რეჟიმის მეთაურს

ვაშინგტონი. **პრეზიდენტმა რ. რეიგანმა თეთრ სახლში მიიღო ჰაიტის რეჟიმის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნამფი. მოლაპარაკების შემდეგ გავრცელებულ თეთრი სახლის განცხადებაში ნათქვამია, რომ მხარეებმა განიხილეს კუნძულზე შექმნილი „პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია“. ამასთან „განსაკუთრებული ყურადღება“ დაეთმო ამერიკის დახმარების პროგრამას.**

ნამფის ვიზიტი შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს ჰაიტში მასობრივ მღელვარებათა ფონზე, როცა უკვე თითქმის ერთი კვირაა გრძელდება ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვა, რამაც არსებითად დაადამბლავა ცხოვრება კუნძულზე. ჰაიტიდან მიღებული ცნობების თანახმად, ქვეყნის დედაქალაქის პორტ-ო-პრენსის ქუჩებს პატრულობენ ჯავშანტრანსპორტიორებში მსხდომი შეიარაღებული ქვეგანაყოფები. უშიშროების ძალებთან შეტაკების დროს სულ ცოტა ორი კაცი დაიღუპა.

ამ პირობებში ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად ცდილობს შეინარჩუნოს და განამტკიცოს თავისი დამქაშის რეჟიმი, რომელიც ხელისუფლებას მას შემდეგ ჩაუდგა სათავეში, რაც მიმდინარე წლის თებერვალში დიქტატორი დიუვალიე კუნძულიდან გაიქცა. მიმდინარე საფინანსო წელს ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს ჰაიტის ხელისუფალთ მისცეს 100 მილიონ დოლარზე მეტი. ხოლო თეთრ სახლში ჰაიტის რეჟიმის მეფადურის მიღებამ უნდა დაადასტუროს, რომ მას პოლიტიკურად მხარს უჭერს ვაშინგტონის ადმინისტრაცია.

● **აშშ**

მოჩვენებითი ოპტიმიზმი

ვაშინგტონი. **გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ახალი ხელმძღვანელობის არჩევნები. მან ფორმალურად დაამკვიდრა ამასწინანდელ არჩევნებში დემოკრატების გამარჯვება, რომლის შედეგადაც მათ დაიბრუნეს ამერიკის კონგრესის უმაღლესი პალატისადმი კონტროლი ოპოზიციაში ყოფნის ექვსი წლის შემდეგ.**

კონგრესის ბიბლიოთეკაში დამარცხებულმა რესპუბლიკელებისათვის გამართულ გამოსათხოვარ სადილზე გამოსულისას პრეზიდენტმა რეიგანმა წუხილით აღნიშნა: „ჩვენ კვლავ უმცირესობა ვართ“. და მოჩვენებითი ოპტიმიზმით დასძინა: „ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ წარმატებებით, რომლებსაც მიაღწიეთ თითოეულმა თქვენგანმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად“. მაგრამ, არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელთ, რესპუბლიკელთა „მიღწევები“ ამომრჩეველთა ენთუზიაზმს არ იწვევს.

● **ავსტრია**

პარლამენტის არჩევნების წინ

ვენა. **კვირას, 23 ნოემბერს ავსტრიაში მიეწყობა პარლამენტის ეროვნული საბჭოს (ქვედა პალატის) არჩევნები, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში იმართება.** თუმცა საარჩევნო კამპანია ოფიციალურად რამდენიმე კვირით იყო განსაზღვრული, სინამდვილეში იგი გადაიქცა მრავალი თვის დაძაბულ პოლიტიკურ ბრძოლად, რომელიც ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო, როცა გაიმართა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნების დროს მეტოქეები ერთმანეთს ეციალებიან 183 მანდატს.

ავსტრიის კომპარტია, რომელმაც კანდიდატები ყველა საარჩევნო ოლქში დასახელა, ამოცანად ისახავდა რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლისათვის გაეცნო თავისი სამოქმედო პროგრამა, რომლის მიზანია ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხის მასების საარსებო უფლებების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერება. როგორც გრაცში განაცხადა ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარემ ფ. მურის, კომუნისტები იღვწიან შრომის უფლებისათვის, მშრომელთა სოციალური და დემოკრატიული მონაპოვრების შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, განიარაღებისა და მშვიდობისათვის.

საარჩევნო ბრძოლაში ძირითადი მეტოქეები არიან სოციალისტური პარტია, რომელიც უკვე მრავალი წელია სათავეში უდგას ქვეყნის მთავრობას, და ოპოზიციური სახალხო პარტია. ოპოზიციას ფაქთოდ გამოიყენა ისეთი ნეგატიური ფაქტორები, როგორიც არის უმუშევრობის ზრდა, ბიუჯეტის მრავალმილიარდიანი დეფიციტი, ნაციონალიზებული მრეწველობის ძნელი მდგომარეობა.

● **ავსტრალია**

ბაბაროვი ლონდონში

ლონდონი. **22 ნოემბერს ლონდონში ჩავიდა საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრ ბაბაროვი. ბაბაროვი ინგლისელ ფეხბურთელთა ასოციაციის ბანკეტზე ეს-ეს ამბავი ინგლისელ ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა.**

ბაბაროვმა ინტერვიუში ინგლისელ ფეხბურთელთა ასოციაციის ბანკეტზე ეს-ეს ამბავი ინგლისელ ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა.

ბაბაროვმა ინტერვიუში ინგლისელ ფეხბურთელთა ასოციაციის ბანკეტზე ეს-ეს ამბავი ინგლისელ ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ავიაბომბდამშენი ტოკიოს ცის ქვეშ

ტოკიო. **რამდენიმე საათში გაუკაცრიელდა იაპონიის ოსიმის კუნძული, რომელიც წყნარ ოკეანეში მდებარეობს ტოკიოს საბრძოლო ავიაბომბდამშენი ,,ბ-52“ ,,ბ-52“ ,,ბ-52“

„ლილეოს“ შუქი გაანთეს



ალიარებულია, რომ რევაზ მარგიანმა ქართულ პოეზიაში გახსნა სარკმელი სვანეთის სანახებისაკენ. ეს ასეც არის, მაგრამ ვითარება აქ გაცილებით რთულია...

საქმე ის არის, რომ საქართველოს ამ კუთხიდან დაბრუნული სამყარო მისთვის იყო უფრო მეტი, ვიდრე თემა, ვიდრე მოტივების წყარო, ვიდრე შთაგონების საგანი. ეს იყო მისი შინაგანი პრობლემა: დაბადებასა და სიკვდილს შორის გამოკვეთილი მაგისტრალური სიუჟეტი. ამ სიუჟეტში მისი ცხოვრების, მოწყდების, ხვედრის საკვანძო მომენტები შეერწყა, განლაგდა და დაკრისტალდა.

განა შემთხვევითია, რომ რევაზ მარგიანის პირველი პოეტური პირშო — „მირანგულ“ იქცა არა მარტო ქართულ პოეზიაში მის სავიზიტო ბარათად, არამედ ნიშანსვეტადაც, რომელშიც ის სიკვდილამდე ტრიალებდა, ბორგავდა, ხარობდა, წვალობდა, ცოცხლობდა. ვინც ამ პირველი ლექსიდან გაადევნებს თვალს რ. მარგიანის ცხოვრებისა და პოეზიის გზას, აღმოაჩენს, რომ ამ ლექსში მოიხაზა არა მარტო მოტივი, რაზეც მასშია საუბარი, არამედ სიუჟეტი, რომლის პერსონაჟადაც თავად იქცა პოეტი.

„მირანგულას“ მითოლოგემარ. მარგიანის ემოციური ცხოვრების თავისებური პროგრამა აღმოჩნდა.

მთელი ცხოვრების მანძილზე რ. მარგიანი ისე უხმობდა, დაეძებდა, მიელტოდა ამ ლექსის სამყაროს, როგორც „მირანგულაში“ აქვითინებული დედა დაკარგულ შვილს.

სად ხარ ნეტავ, მირანგულა?
დედა კვნესის ანათრთოლი,
მთებზე თოვლი გათანგულა,
დღევანდელი დანათოვი!

გარეთ ცივა... დარჩენილი
ძაღლი სადღაც მიწკმუტუნებს
და ცა, საკინძდაგლეჯილი
ყრის ვერცხლისფერ
.უბალთუნებს!

...იქნებ, შვილო, გზას გადასცდი
წაპაუვ შვავებს და ნამქერებს,
სად ხეობა ყრუ და შეაცრი
შესაზარად რაახველებს.

სიბნელეში სადღაც ისმის
კლდეებიდან წყლის ჩახჩახი,
ქარს გამოაქვს კვეკასიის
ნისლიანი ჩაბალახი.

ღამეა და წივის ქარი,
მთები თოვლით გათანგულა,
ქარს ქვითინი მოაქვს ქალის:
— ვაი, სად ხარ, მირანგულა?

1934 წლის 30 დეკემბერს, როდესაც „ლიტერატურულ საქართველოში“ ეს ლექსი დაიბეჭდა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო რ. მარგიანი.

მან ჯერ არ იცოდა, რომ ყველაფერს, რასაც ამიერიდან მოიმოქმედებდა, რაც თავს გადახდებოდა, რისი მოწმეც შეექნებოდა, — დაჩნდებოდა „მირანგულადან“ დაძრული სიუჟეტის ბეჭედი. მან არ უწყოდა, რომ დედის ვაება კერის მოწყვეტილ პირშოზე და შვილის წუხილი მშობლის წინაშე ვალის გადაუხდელობის გამო მას დაჩნდებოდა როგორც საკუთარი, ისე სანგრებში თვალებამოღებული მთელი მისი პლეადის გონითი ცხოვრების კომპლექსად.

აი რატომ მიელტოდა, მიეხაროდა, ერთგულებდა ის ამ სამყაროს, როგორც ათასგვარი განსაცდელებიდან დაბსნელ ავგაროზს.

განსაცდელები კი საკმარისი ეფინა მის გზაზე.

„ჩემს ბიოგრაფიაში არაფერია არაჩვეულებრივი და თითქმის არ განსხვავდება ჩემი თანატოლების ბიოგრაფიისაგან“, — წერდა იგი.

და მართლაც, მისი ბიოგრაფია არაფრით განსხვავდებოდა მისივე თანატოლთა ბიოგრაფიისგან და იყო „ჩვეულებრივი“, თუ ჩვეულებრივად მიიჩნევა 30-იანი წლების უზარმაზარი ძალისხმევის ძვრები მისი თაობის ფსიქიკასა და ყოფაში, ახალ განსაცდელად მოვლენილი ომი — სისასტიკით მოკირწყლული გზებით და ბოლოს მსოფლიო ცივილიზაციის თავბრუდამხვევი ტემპით მოვარდნილი ახალი პრობლემების კორიანტელი.

რევაზ მარგიანი ამგვარი სიტუაციების პირშო, მონაწილე, თანაზიარი და მესიტყვე აღმოჩნდა.

იგი ჟურნალ „ჩვენი თაობის“ პლეადას ეკუთვნოდა...

მისი მეგობრები იყვნენ: ლადო ასათიანი და გაბრიელ ჯაბუშანური, ალექსანდრე საჯაია და მირზა გელოვანი, იოსებ ნონუშვილი და ალეკო შენგელია, კოტე ხიმშიაშვილი და ლადო სულაბერიძე, გივი გაჩეჩილაძე და ვახტანგ ჭელიძე; მათი ცხოვრების შემატანე — ნიკა აგიაშვილი...

ამ პლეადას წინ უძღოდა გალაკტიონი და უფროსი თაობის მთელი კოჰორტა.

მაგრამ ცხადი იყო, რომ ის, რაც ამ თაობის საზრისი, გონი და გასამხელი იყო, შეიძლებოდა გამოხატულიყო პოეტური ცნობიერების მხოლოდ იმ შტრიხებით, რომლებიც სწორედ ამ პლეადას ახასიათებდა.

ეს იყო მათი ამოცანა... სხვებთან ერთად, სწორედ ამ ამოცანის ხორცშესხმის ხარისხი განსაზღვრავს რევაზ მარგიანის ადგილს, როლს და მნიშვნელობას როგორც ამ თაობის, ისე მთელი ლიტერატურული პროცესის წინაშე.

და სწორედ იმ დროს, როდესაც ფრთები უნდა გაეშალა მის ტალანტს, ის თანატოლებთან ერთად შეიყვანა დრომ ომის ქარცეცხლში, როგორც ჯარისკაცი.

რ. მარგიანიც მოხალისედ წავიდა ფრონტზე...

სავლე ფოსტით იგი იღებდა ახლობლთა სვედიან ბარათებს, ბრძოლის ველიდან კი ისტორიული პროცესის მონაწილის თვითშეგნებით ჰფენდა ინტიმით გამთბარ სულიერ მხნეობას.

ნუ სწუხარ, გაიკლის ომი
და ქარი,
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდად,
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე
მამული არის,
დიადი სამშობლო წმიდა!
...მე უბით ვატარებ პატარა
ბარათს,
გაჩვენებ, როცა შინ მოვალ,
და გულში, იცოდე, ვარამის
გვარად
ჩამრჩება ბარათის ხსოვნა.
მოსვლამდე, ვინ იცის...
უბეში მექნება
და ხშირად დავხედავ ხვნეშით:
„საველე ფოსტა, 72,
მარგიანს საკუთარ ხელში“.

ეს ინტიმი და სილმა მარგიანს არ დაუკარგავს არც. ომის სისასტიკეში და არც ყოფიერების ყველაზე უხეშ გამოვლინებებთან თვალის გასწორების ძამს.

მის ლექსს ამ გამოცდილებამ შესძინა სიმკვრივე და რიტმული ინტონაცია, რომლიდანაც ეჭოსავით მოისმოდა ფრონტზე მომავალი მხედრების მწყობრი ნაბიჯის ხმა. ამ ინტონაციას დიდ კაეშანთა სტოიკურად ამტანობის იერი შეჰქონდა მის სტრიქონებში.

ამგვარ ტონალობაში იხსენებდა რეზო მარგიანი მირანგულას მსგავსად დედისგან დაუტირებელ მირზა გელოვანს.

შენ, ძვირფას ძმას,
ვერ გაწვდენ ხმას,
აქ, მორეოს დაეძებ
დაკარგულ ძმას.
წვიმს, მირზა, წვიმს.
საოცრად ცრის,
ცა დაბლა ჩამოდის,
ელავს და წვიმს.

ვიგონებ ძმას,
ნაომარ გზას.
ახსოვხარ ძმებს,
ახსოვხარ სხვებს...
მე მეპატიება,
დღეს თუ ამ ლექსს
წერტილად დავუსვამ
ერთ კურცხალ ცრემლს.

უპირველესი შტრიხი, რომლითაც რევაზ მარგიანმა თავისი თავი დაამახსოვრა თანამედროვეებს, იყო შინაგანი სიკეთე და სათნოება. ეს იყო მისი სულიერი თავისუფლის საყრდენი, ტრამპლინი, სარკმელი, საიდანაც იხსნებოდა ქართული სამყაროს ლანდშაფტი. ამ ლანდშაფტში ის ხედავდა საკუთარ თავს, როგორც მისი მეზვერე, მოჭირნახულე, მთესველი.

მე მინდა ვიყო
შემოდგომა
ჩემი მაღლარით —
ოქტომბრის ბოლოს
დახუნძლული
ფოთლებაყვითელი,
რომ ჩიტებივით
მესეოდნენ
სოფლის ბალღები,
შავ-შავ თვალებით
ზღვრავს რევაზ მარგიანის ადგილს, როლს და მნიშვნელობას როგორც ამ თაობის, ისე მთელი ლიტერატურული პროცესის წინაშე.

რევაზ მარგიანის
დაბადების 70 წლის-
თავის გამო

გავსებული
ჰქონდეთ გიდელი. —
ჩემი თვალებთან,
უთვალავი,
ჩემი თვალებით.

ამგვარი თვალებით შეჰყურებდა რ. მარგიანი სამყაროს. და ეს იყო არა მიამიტური გულუბრყვილობა, არამედ ყოფიერების ყველაზე მკაცრი და ულმობელი განსაცდელებიდან გამოტანილი კონცეფცია. ეს არ იყო მხოლოდ მისი გამოცდილების ნაყოფი. ის თავს აღიქვამდა კეთილის ბორკოტზე გამარჯვების იდეოლოგად. მის უკან იდგა ქართული პოეტური კულტურის დიდი ტრადიცია, როგორც სკოლა.

მტრის ქარავანი
ჩემს მამულში
მიდის ზმორებით.
და ჩუქურთმაში
გახლართული,
გზაბნეული
დაჰქრიან მფრთხალი
პაწაწინა
ნიამორები.

აი ქართული ორნამენტის რიტმული ვარიაციების მექანიზმი. „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“, — წერდა გალაკტიონი და რევაზ მარგიანიც მთელი არსებით, ნათელმხილველობით გრძნობდა იმ სათავეს, რომელიც იყო ამ ჩუქურთმის ცხოველმყოფლობის წყარო.

როდესაც რ. მარგიანზე ამბობენ, რომ ის პოეტი—ტრადიციონალისტი იყო, მხედველობაშია მისაღები, რომ ტრადიცია მისთვის კონსერვატიულობის შესატყვისი კი არ იყო, არამედ ახალი იმპულსების მისაღები სკოლა. ამ სფეროში იგი ულმობელი კრიტიკოსიც იყო და, სხვათა შორის, საკუთარი თავისადმიც. მაჰქონდა ლექსის საკუთარი გაგება, ბა და, როგორც ნამდვილ პოეტს, კარგად ესმოდა, რომ ციური საწყისის გარეშე და უნიადაგოა ტექნიკაც და ფილოსოფიის სამოსელიც. აკი წერდა კიდეც: „ახლისთვის ძიება სრულიადაც არ ნიშნავს ჩამოაცილო პოეზიას სინედლე და თვითმყოფადობა. სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემოებათა გამო მეც გამიღია ხარკი დასტანდარტებული პათეტიკისადმი. შემდეგ ეს მოგრძენა. სიჭაბუკის ზოგიერთ ცდუნებაზე დღესაც ვწუხვარ, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი“.

ასე წერდა იგი თავისი შემოქმედების შესახებ და ერთგულობდა ტრადიციას.

მაგრამ იყო ამ ერთგულებაში კიდევ ერთი საგულისხმო ხრიხი, რომელიც მიჩვევის სოცრად თბილი, ადამიანური, ხსოვნის ინტიმში განლეგებული ნიუანსით წარმოგვიდგენდა მას პიროვნულადაც. ხსოვნის ამ ინტიმში ის ხედავდა ყოფის ზნეობრივ შინაარსსაც და ესთეტიკურ ღირებულებასაც. მხოლოდ ამგვარი წყობის ადამიანს შეეძლო ასე გამოსთხოვებოდა ძველ საცხოვრისს:

ვნანობ, იქ დამრჩა განძი
ნამდვილი,
ღამის თევა და ბევრი ღვიძილი,
და ვერ შეფუთა ცოლმა
ბარგივით
მინებს შემსკდარი ჩემი
სიცილი.

აქ, ძველ ბინაში, რაღაც
დავტოვე,
ფიქრი, ოცნება, დარდი,
ზმანება.

ხშირად ამიკრთ ფრძნობ
ხელმარტოვეს
„დავდიგარ... ეზუსვარ და
ფენანებ!“

ამ ბინაში გაშლილი იყო სამგზავრო ტბა, რომელსაც ქართული ლიტერატურა მესვეურებთან ერთად უსწრნენ - რევაზ მარგიანის განვლილი მეგობრები: [illegible] ბ. [illegible], ნ. [illegible], რ. გამზათოვი და ალ. მეტიროვი, ვ. სოკოლოვი და მ. დუდინი.

ამ სერობებს ხშირად ამშვენებდა კ. სიმონოვი, რომელსაც რ. მარგიანი სვანეთის ბილიკებზეც მეგზურობდა

მათი მეგობრობის ერთი ფურცელი დოკუმენტურადაც არის გადასული რ. მარგიანის სტრიქონებში:

მახსოვს, მოსკოვს ვართ
შენს ოჯახში კახურ ღვინოს
ვსვამთ,
გარეთ ამინდი
ჭირვეულობს, ქუშა, უმზეო.
მოულოდნელად ამბობ:
— ძმებო, ამ ჩემს ფიროსმანს
ჩემივე ხელით
ჩავაბარებ ქართულ მუზეუმს.

ეს სიტყვა საქმედაც იქცა...

„გარდა პოეზიისა გატაცებული ვიყავი მთასვლელობით“, — წერდა რევაზ მარგიანი... მთის ბილიკებით გავიდა სახლიდან სვანური ბალადის გმირი მირანგული, რომელსაც დღემდე ეძებს ძაძით მოსილი ქალი, როგორც ოზადა ქვესკნელში დაფლულ ოზირისს.

მხოლოდ პოეტმა იცის, თუ სად არის მისი ადგილსამყოფელი — „ლილეოს შუქში გახვეული“. აქედან დაიწყო მისი ოდისეადა და მოგბრუნდა თავის კერას როგორც ამაყი, ვალმოხდილი, კეთილშობილი მხედარი...

გიორგი გაჩეჩილაძე.

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
გალაკტიონი.

ახლა სამოცდაათისა იქნებოდა

სუნთქვა გარდასულ დღეთა

როცა კი სასწორზე მდებია სირცხვილი და სიკვდილი, არჩევანი უკანასკნელზე შემიჩერებია. ახლა, ეს რაღაც ნოველაა, მინიატიურაა თუ რა, სანგრიშვილ რომ ალმომხდა გულიდან, ვის ვუჩვენო, ვინ შემიმოწმებს — ივარგებს თუ არა?!.

მოდი, ისევ თანატოლ ნაცნობ, ნაომარ რედაქტორთან მიჯობს... და უკვე ომგადახდილმა, ქირზისჩქმიანმა, მზისგან გახუნებული ხაკისფერ გიმნასტიორიანმა, მორცხვად შევაღე ჟურნალ „დილას“ რედაქტორის კარი.

— ოჰ, შენ რა გითხრა, ეს რა წამაკითხე!... — შესძახა სახეშეუმუხნულმა. — ნომერშივე ეს, გიორგი! — მიუბრუნდა მერე კაპიტალძეს. — შალიკოს დავახატინოთ, ცხადაძეს...

გამოვიდი გახარებული და თან დაფიქრებული. ახლა ეკვის სხვა ჭია შემიჩნდა — ხალხს კი მოეწონება?!

— გიორგი, ეს რაღაც მაქვს მიტანილი ერთგან და ხომ არ შევრცხვები? შემიმოწმე ერთი, როცა დრო გექნეს. — და გამოვედი.

რედაქტორმა ნატროშვილმა, თავად ომგადახდილმა, იმით შემიმოწმა, რომ თავისი „ლიტერატურული გაზეთის“ უახლოეს ნომერში დაუბეჭდავს ის პატარა მოთხრობა, თუ როგორ მირაქად მექცა სამყაროო უზომოდ დაქანცულ ჯარისკაცს და მცირედი შესვენებისას როგორ გავეშურე ღამე შორეული ქოხისაკენ, ხოლო მოლანდებული ქოხის ადგილას როგორ აღმემართა წინ თოვლით დაყურსული და გულჩათხრობილი ფიქვის ხე...

რა პირით შევხვდე „დილას“ რედაქტორს მარგიანს? რასაც ვუფრთხოდი, იმასვე არ წავაწყდი?! ვეშმე სირცხვილი მასთან. რად ვერ ვიფიქრე, რომ ყოველთვიურ ჟურნალს დაასწრებდა ყოველკვირეული გაზეთი?!..

— სხვაგან მიგიჩენია, ლადო, ადგილი შენი „ლტოლვისათვის“.. — მწარედ მომაგება პირველშეხვედრილმა რეზომ...

წახდა ჩვენი სალამი.

გამოხდა ხანი. მხვდება ჟურნალ „პიონერის“ პასუხისმგებელი მდივანი:

— ლადო, შენი „გულის შუქი“ ვნახე საბლიტგამში გამოსაცემად. წიგნს დაგვიანდება. ხომ არ დაგვებეჭდა გამოცემამდე ჩვენს ჟურნალში?

— ამას რა ჯობს, კარგია, მაგრამ მისი რედაქტორი რეზო მარგიანი რომ მემდურის, და არცთუ უსაფუძვლოდ?! (რეზო უკვე „პიონერში“ იყო გადასული).

— რეზო, შესაძლოა შენ გიმდურის, მაგრამ „გულის შუქს“ რას ერჩის, არ გცოდნია მისი ხასიათი.

ეს სიტყვები გამართლდა.

რედაქტორმა მარგიანმა, რომელიც იმნაად მესამე პირის მეშვეობით თუღა დამელაპარაკებოდა, მთელი ხუთი თვე (ჟურნალის ხუთ ნომერში) დიდი მზრუნველობით, წინა გვერდებში, ჩინებული ილუსტრაციებით ბეჭდა შემდეგ „ნამეხარ მუხად“ გადამუშავებული მოთხრობა „გულის შუქი“, რომელიც საყმაწვილო ჟურნალისათვის საჭიროდ და შესაფერისად მიიჩნია.

ასეთივე რამ გაიმეორა მან ჩემთან თავის ახალ ჟურნალ „დროშაშიც“, რომელშიც მოწადინებით დამიბეჭდა რამდენიმე ახლებური „გულისთქმა“, „მისხალ-მისხალ“.

მხოლოდ ჟურნალის, მხოლოდ რედაქციის (უფრო მოგვიანებით — გამომცემლობის) ინტერესები! აი, რა ამოძრავებდა, მუდამ, ჩინებულ რედაქტორსა და ჩინებულ მოქალაქეს პოეტ მარგიანს.

ომგადახდილი თაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ახლა სამოცდაათი უნდა შესრულებოდა.

ვლადიმერ თორდუა.

„კომუნისტის“
ფოტოკონკურსი

მოგონებები გარდასულ დღეთა...

დ. იაკობაშვილის ფოტო.

„....მან გაგვიღო სარკმელი ხელოვნებაში“!

საგასტროლო გზებზე

...**ასე** აღიარეს ახალგაზრდა უნგრელმა რეჟისორებმა და მსახიობებმა, ასე შეაფასეს მათ რობერტ სტურუას შემოქმედებასთან შეხვედრის მნიშვნელობა, როდესაც საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ რუსთაველის თეატრის საგასტროლო სპექტაკლებს ბუდაპეშტსა და კეჩკემეტში.

რუსთაველელთა გამოსვლა უნგრეთის მშვენიერ დედაქალაქში ქართველ მსახიობთა მესამე სტუმრობა იყო. მანამდე, 1974 წელს, აქ დიდი წარმატებით გამოვიდა რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი. 1977 წელს კი თბილისის თოჯინების ქართულ თეატრს ხვდა წარმატება ბეკეშჩაბეს საერთაშორისო ფესტივალზე. როგორც ქართული თეატრის ერთგულმა მეგობარმა, თავის დროზე დიპლომატმა, ამჟამად კი თეატრალურმა მოღვაწემ იოანეფ კერიმ გასტროლების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე შესავალ სიტყვაში აღნიშნა: რუსთაველის თეატრმა მზრუნველ მამასავით ჯერ შვილები გამოგვიგზავნა წასაცნობად, შემდეგ კი თავად გვეახლაო. რუსთაველის თეატრს ელოდნენ უნგრეთში და მის ხელოვნებას კარგად იცნობდნენ, ეს მათს შეკითხვებსა და გამოსვლებში თვალნათლივ იგრძნობოდა. რობერტ სტურუას უამრავ შეკითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. შეკითხვები ეხებოდა მის რეჟისორულ მეთოდს, მხატვრულ მრწამსს, საოპერო თეატრში მოღვაწეობას, დრამატურგებთან ურთიერთობას, მსახიობის აღზრდის საკითხებს და, ბუნებრივია, სამომავლო გეგმებს.

პრესკონფერენციაზე საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა ქართულ-უნგრული თეატრალური ურთიერთობანი და, როგორც ჩვენმა მეგობრებმა შენიშნეს, ქართული თეატრი ვალში არ დარჩენილა როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე უნგრული დრამატურგიის წინაშე.

პრესკონფერენციის მონაწილეებს არც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე თეატრალური ექსპერიმენტი გამორჩათ მხედველობიდან და, საერთოდ, მთელი შეხვედრა იშვიათი გულითადობის, ურთიერთდაინტერესებისა და მეგობრული ვითარების ატმოსფეროში წარიმართა.

შეკითხვაზე, თუ რამდენ ქვეყანაში მოუხდია თეატრს თავისი ხელოვნების ჩვენება, პასუხმა არ დააყოვნა — ყველა კონტინენტზე, გარდა აფრიკისა.

დადგა პირველი ნოემბერი. ი. მადაჩის სახელობის თეატრი, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, ლენინის პროსპექტზე მდებარეობს და ჩვენი სასტუმროდან სულ რაღაც სამიოდე წუთის სავალზე იყო, მაყურებელს ვერ იტევდა. პირველ დღეს დარბაზში ჭარბობდა თეატრალური საზოგადოებრიობა, კრიტიკოსები, მწერლები. სპექტაკლს დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი უნგრეთში ამხანაგი ბორის სტუკალინი... მაყურებელთა დარბაზში მოლოდინის განწყობილება სუფევდა. რამდენიმე სცენას გაჰყვა ეს განწყობილება, სანამ ლედი ანა და რიჩარდი თავის ცნობილ „დუელს“ გამართავდნენ. ამის შემდეგ, ანტრაქტის დროს, რომელიც საკმაოდ დიდხანს გრძელდება, ჩვენმა ელჩმა გამართა მიღება თეატრის ხელმძღვანელობასა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მესვეურებთან ერთად. ამ მიღებაზე უკვე გაისმა პირველი ქართინაურები თეატრის მისამართით, რაც აღმავალი გზით გაჰყვა მთელ გასტროლებს. შუალედებელია, თეატრალურ „შტამპადაც“ იქცა იმის აღნიშვნა, რომ რუსთაველელთა სპექტაკლებს საგასტროლო გზებზე რეფრენად გამუდმებული ტაში გასდევს, მაგრამ უხვრულ ვარიანტში მას სიახლე ახლდა — აღფრთოვანებული მაყურებელი სამადლობელზე გამოსულ მსახიობებს ტაშთან ერთად — „ეჰეი“, ეჰეის...“ შეძახილით ეგებებოდა.

მესამე დღეს წარმოადგინეს თამაზ ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. ალბათ არასდროს ასე არ ღელავდა თეატრი, როგორც ამჯერად; ეს სპექტაკლი ხომ პირველად გავიდა ეუხოეთში. ღელავდა ავტორიც, რომელიც თეატრის საგასტროლო ტურნეში მონაწილეობდა, და რაოდენ სასიამოვნო იყო, რომ უნგრელმა მაყურებელმა როგორც პიესას, ისე სპექტაკლს გამორჩეული ყურადღება დაუთმო.

მიუხედავად იმისა, რომ ბუდაპეშტის ქუჩებში აქა-იქ თუ შეგვხვდებოდა რუსთაველის თეატრის აფიშები, ქალაქში იგრძნობოდა ქართველ მსახიობთა სტუმრობა. მათ სცნობდნენ, უღიმოდნენ, აჩერებდნენ და აღტაცების სიტყვებით მიმართავდნენ. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მოკრძალებით გაიჩერა ქუჩაში მიმავალი რამაზ ჩხიკვაძე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით გაღუტხადა — თქვენ მშვენიერი ხართ, ასეთი რიჩარდი არ მინახავს, ჩვენ არასოდეს არ გვყოლია და არც გვეყოლებაო — და დიდხანს არომეევდა ხელს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მსახიობს, რომელმაც ვერაფრით ვერ მოახერხა მისი გადარწმუნება, რომ მომავალზე ასეთი კატეგორიულობით არ ემსჯელა. ქალაქ კეჩკემეტში კი მე აღმოვჩნდი „გმირი“, რადგან ავთანდილ მანარაძის მომამსგავსეს თურმე და დიდხანს „მეფერებოდნენ“, სანამ მოვახერხებდი მიმენიშნებინა, რომ ისინი ცდებოდნენ.

საგასტროლო გზებზე

„....მან გაგვიღო სარკმელი ხელოვნებაში“!

ორჯერ ნახეს ბუდაპეშტელებმა „კავკასიური ცარცის წრე“. ამ სპექტაკლმა დაგვირგვინა რუსთაველელთა გამოსვლები და მისმა წარმატებამ სხვა განზომილება შესძინა ქართული თეატრის აღიარებას უნგრეთში. ბრეხტის სტრუქტურალიზმ გააზრებამ გამოგვიგებელი შეგვიტანა ბოლოდროინდელ მასპინძლებზე, ვინაიდან რამდენჯერაც ეცადნენ უნგრელი სცენის ოსტატები ეპიკური თეატრის დრამატურგიის გასცენიერებას, როგორც თვითონ აღიარეს, იმდენჯერ ფიასკო განიცადეს. და აი, საოცრება — ქართველ მსახიობებს და მათ ლიდერ რეჟისორს მოუნახავს ის გასაღები, რომლითაც ასე ლაღად, მოხდენილად, თითქოს უბრალოდ, ძალდაუტანებლად გადაიყვანა მაყურებელი ბრეხტის სამყაროში. „კავკასიური ცარცის წრე“ იმ ეშვიათ სცენურ ქმნილებებს უნდა მივაკუთვნოთ, რომელთაც შესწევთ უნარი თვალნათლივ გვიჩვენონ მაყურებლის „დაპყრობის“ ზეადამიანი განვითარება, რაც, როგორც წესი, დასასრულისას, გაუთავებელ ოვაციაში გადაიზრდება ხოლმე.

სპექტაკლებს შორის იმართებოდა მიღება, შეხვედრა, მეგობრული საუბრები. უნგრეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ მიიღო თეატრის მთელი დასი. აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი ბუდაპეშტის საზოგადოებრიობა. კოლექტივს მიუღოცეს ოქტომბრის რევოლუციის 69 წლისთავი და გამოხატეს მადლიერება წარმატებული გასტროლების გამო. საპასუხო სიტყვით გამოვიდა რობერტ სტურუა. მიღება გაახანგრძლივა მასპინძელთა უამრავმა შეკითხვამ რუსთაველელთა მიმართ და უზარმაზარ დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილ აუდიტორიაში, მეგობრულ სუფრასთან სინტერესო სჯა-ბაასი გაიმართა თანამედროვე თეატრის პრობლემებზე. ყველაზე მეტად რობერტ სტურუას უხდებოდა პასუხის გაცემა. ახალგაზრდა რეჟისორებს ეიერში მიჰქონდათ მასზე: ალყაშემორტყმულ ოსტატს მინი-სემინარების ჩატარება მოუხდა. გადაღლილი თარჯიმნები ერთმეთს ენაცვლებოდნენ, რადგან ვერ აუდიოდნენ მოზღვავებული კითხვა-პასუხის თარგმნას. ასევე გაგრძელდა ქალაქ კეჩკემეტში გამართულ მიღებაზეც, სადაც ადგილობრივ ხელოვნების მუშაკებს შემოუერთდნენ ბუდაპეშტიდან ჩამოსული სცენის ოსტატები.

6 ნოემბერს საბჭოთა საელჩომ ბუდაპეშტში დიდი მიღება გამართა ოქტომბრის რევოლუციის 69 წლისთავთან დაკავშირებით, რომელზეც ქართული თეატრის წარმომადგენლებიც მიგვიწვიეს: კერძოდ, რ. სტურუა, რ. ჩხიკვაძე, გ. ყანჩელი, გ. საღარაძე, გ. ალექსი-მესხიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. საპატიო სტუმრებს შორის ბრძანდებოდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იანოშ კადარი მეუღლეთურთ.

პატარა, მაგრამ ულამაზეს, „ქალაქ კეჩკემეტშიც „რიჩარდ მესამემ“ დიდი აღმავლობით ჩაიარა და უნგრელ მეგობრებთან გამოთხოვების ბოლო მძლავრი აკორდი აღმოჩნდა. მასპინძლები დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან ქართველ მსახიობებს: მედეა ჩახვაშვილს, მარინე თბილელს, ნანა ფარუამშვილს, ლიკა ჭავჭავაძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, გიორგი გეგეჭკორს, ბადრი კობახიძეს, ავთანდილ მანარაძეს, გიორგი ხარაბაძეს, კარლო საკანდელიძეს... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

პრესა, რადიო, ტელევიზია, ფართოდ გამოეხმაურნენ გასტროლებს, ხოლო მათს გამონათქვამებში ხშირად ისმოდა სიტყვები: „ხელოვნების ტრიუმფი“ „გარდასახვის საოცრება“, „უმაღლესი კლასის დასი“...

ვ. ბრეგაძე,
დელეგაციის ხელმძღვანელი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ლაზერი ასთმის წინააღმდეგ

ლაზერის სხივი, რომელიც სიმიედო თანაშემწეა სახალხო მეურნეობისა და მედიცინის მრავალ დარგში, გამოიყენება ბავშვთა მკურნალობის დროსაც. მისი დაზმარებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები ამსუბუქებენ ბრონქული და ინფექციური ასთმის მძიმე შეტევებს, დიდი ხნით ავიწყებენ ავადმყოფს სნეულებას.

ლაზერთერაპიის სამი-ოთხი სეანსი და ავადმყოფის მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. იმის მიხედვით, თუ როგორია დაავადების ფორმა, შეტევებს შორის ინტერვალი სამ-ოთხ თვეს გრძელდება. სხივი მოქმედებს უმტკივნეულოდ და უმტკივნეულოდ: ორგანიზმის ზოგიერთ ბიოაქტიურ წერტილზე მიმართული, იგი არეგულირებს მასში ნივთიერებათა ცვლასა და იმუნოლოგიურ პროცესებს.

— მაგრამ, მცდარი იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ ლაზერთერაპია ყოვლისშემძლე საშუალებაა ასთმური დაავადების დროს, განმარტა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ი. მუჩაიძემ. —იგი ეფექტიანია მედიკამენტებთან კომპლექსში. ანუ, ლაზერის გამოყენება აძლიერებს სამკურნალწამლო პრეპარატების მოქმედებას. ამიტომ მათი დოზები რამდენჯერმე უნდა შემცირდეს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია: ასთმის მკურნალობისას ისინი ძირითადად ჰორმონული ხასიათისაა, რაც ბავშვების ორგანიზმში არასასურველ თანამდევ მოვლენებს იწვევს.

ახალი მეთოდი პედიატრიის ინსტიტუტის გარდა დანერგილია თელავის ბავშვთა საქალაქო საავადმყოფოსა და თბილისის ბავშვთა საავადმყოფოს კლინიკურ პრაქტიკაში

მედიკოსებს ბაროკამერები ეხმარება, რომლებშიც თანაბრად მცირდება ჟანგბადის წნევა. ამგვარად იქმნება ჰაერის შრე, რომელიც წაადგება მაღალი მთის ჰაერს. როგორც ცნობილია, მაღალი მთის ჰაერი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ბრონქული ასთმით დაავადებულებზე.

ამ ღონისძიებების მეშვეობით შესაძლებელი გახდა შეეჩერებინათ მრავალი პატარა პაციენტის დაავადების განვითარება.

ი. ჯორბენაძე,
საქინფორმის კორ.

ჯადოსნური მაგნიტი

ქუთაისის რესპუბლიკური საავადმყოფოს სამტატო განრიგში გაჩნდა... „მაგნიტური თერაპევტი“. იგი წარმატებით მკურნალობს კუჭის წყლულით ან სხვა სნეულებებით დაავადებულ პაციენტებს.

ადამიანის ორგანიზმზე ელექტრომაგნიტური ველის ბიოლოგიური ზემოქმედების ეფექტი ფართოდ გამოიყენება რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. მაგალითად, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში ეგრეთ წოდებულ მაგნიტურ პალატებში მიმდინარეობს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ-ფსიქიკურ დაავადებათა პროფილაქტიკა. კარგი შედეგები მოგვცა მაგნიტოთერაპიამ ჭრილობებისა და სიდამწვრის შეხორცების დროს.

ლენინგრადელი მეცნიერების მიერ შექმნილი ახალი აპარატი დანერგილია ქუთაისის საავადმყოფოს კლინიკურ პრაქტიკაში და იგი გამოიყენება კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავისა და სხვა შინაგანი ორგანოების წყლულების შეხორცებისათვის.

— მაგნიტოთერაპიის ორი-სამი სეანსი და ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სიახლის ერთ-ერთმა ავტორმა ვ. ნეძვეტკიმ. — მაგნიტური მიკროკლიმატი აიძულებს ორგანიზმის ქსოვილებს, განსაკუთრებით ნერვულ ქსოვილებს, იმუშაონ ოპტიმალური რეჟიმით და ხელს უწყობს დაზიანებული უ